

JEL Classification: D04, D24, Q12, Q17

<https://doi.org/10.35945/gb.2020.09.015>

# COMPETITIVENESS OF EXPORT AGRO PRODUCTS AND ECONOMIC POLICY FOR INCREASING THE COMPETITIVENESS

**NINO TALIKADZE****Ph.D. Student**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

nino.talikadze@tsu.ge

**Abstract.** Agriculture plays a major role in ensuring the country's food security, improving the balance of payments and strengthening state independence. Increasing the production of agricultural products increases the national income of the country, creates additional jobs and more. Competitive export production should play a major role in boosting agricultural production, as it has to be competitive in the international markets.

The article analyzes the competitiveness of Georgian export agro products and the export-import of agro products. It should be noted that imports of primary agricultural products over the years have significantly outstripped exports, mainly due to the low volume of production of these products and the weak competitiveness of the sector relative to foreign producers. Competitiveness should be enhanced not by imposing barriers on imports, but by enhancing the competitiveness of locally produced products. That is why has been studied the main directions of economic policy for increasing the competitiveness by the example of Israel. Israel uses the theory and principles of knowledge-based economics to increase the innovation potential of the economy and enhance its competitiveness in general.

In this study export agro products are identified by the following parameters: tendencies in export, stock reserves at the end of the year, resources, local production, average yield and self-provision coefficients. Thus, we assessed the competitiveness of corn/wine, nuts, potatoes, vegetables, wheat. Competitiveness level is calculated for selected Georgian agro products based on the received FAO data. The level of competitiveness of agro-food products was compared with each other on two markets: The European Union market (EU market) and the Commonwealth of Independent States market (CIS market). The product's competitiveness level is calculated using the following indexes: Relative Export Advantage Index (RXA), Relative Import Penetration Index (RMP) and Relative Trade Advantage Index (RTA).

The paper concludes that a high level of competitiveness in the international trade from Georgian agro products has nuts and wine. In addition, it is interesting that on CIS markets Georgian agro-food products have higher competitiveness than on the EU market. Also, on CIS markets competitive are potatoes and vegetables. Data analysis has shown that Georgian wine has far higher competitiveness on the CIS market than on the EU market. In recent years, the volume of Georgian wine exports to Russia has increased, which has been reflected in competitiveness indices. Consequently, the competitiveness of Georgian wine is increasing in the CIS market, while maintaining relative stability in the EU market. Also, Georgian nuts has far higher competitiveness on the EU market than on the CIS market.

Conclusions are made according to the identified problems and the recommendations are offered on the directions of economic policies for increasing the competitiveness of agro-food products. It is important to identify agro-food products on the threshold of competitiveness in international trade in order to concentrate further resources and efforts on them, which will increase export volumes in the future. It is advisable to create a stable regulatory environment and increase the awareness of the Georgian agro-food product in international level.

**KEYWORDS:** AGRO PRODUCTS, COMPETITIVENESS, COMPETITIVENESS INDEXES, ECONOMIC POLICY OF COMPETITIVENESS.

**For citation:** Talikadze, N. (2020). Competitiveness of Export Agro Products and Economic Policy for Increasing the Competitiveness. *Globalization and Business, №9*, pp. 120-128 (In Georgian). <https://doi.org/10.35945/gb.2020.09.015>

# საექსპორტო აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ეკონომიკური პოლიტიკა

## ნინო ტალიკაძე

### დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო  
nino.talikadze@tsu.ge

**საკვანძო სიტყვები:** აგროსასურსათო პროდუქტი, კონკურენტუნარიანობა, კონკურენტუნარიანობის ინდექსები, კონკურენტუნარიანობის ეკონომიკური პოლიტიკა.

**ციტირებისთვის:** ტალიკაძე ნ. (2020). საექსპორტო აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ეკონომიკური პოლიტიკა. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, №9, გვ. 120-128.  
<https://doi.org/10.35945/gb.2020.09.015>

### შესავალი

სოფლის მეურნეობა დიდ როლს ასრულებს ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის, საგადასახდელი ბალანსის გაუმჯობესებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებასთან ერთად, როგორც წესი, უმჯობესდება მოსახლეობის კვების სტრუქტურა და ხარისხი, მცირდება იმპორტული სურსათის მოცულობა, რაც, შესაბამისად, დადებითად აისახება საგადასახდელი ბალანსის დეფიციტის შემცირებაზე და ქვეყნის სასურსათო დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებაზე. ამასთან ერთად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა, ზრდის ქვეყნის ეროვნულ შემოსავალს, ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს და სხვა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდაში დიდი როლი კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქციის წარმოებას უნდა შეასრულოს, რადგან პროდუქტის საერთაშორისო ბაზრებზე გასატანად ის კონკურენტუნარიანობით უნდა გამოირჩეოდეს. ამასთან, უნდა მოხდეს იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლება.

### ძირითადი ტენდენციები სოფლის მეურნეობის სექტორში (ექსპორტ-იმპორტის კონტექსტით)

საქართველოში 2006-2018 წლებში სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, ნადირობისა და თევზჭერის წილი მშპ-ში 12,8%-დან 7,7%-მდე დაეცა და კლებადი ტენდენციით


ხასიათდება. 2018 წლის წინასწარი მონაცემებით აღნიშნული მაჩვენებელი წინა 2017 წელთან შედარებით შემცირებულია 0.3 პროცენტული პუნქტით.

2018 წელს 2017 წელთან შედარებით შემცირებულია უმეტესი პროდუქტების სასურსათო მონმარების დონე (კერძოდ, სიმინდის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ყურძნის, ხორცის). ზოგადად, შინამეურნეობის სასურსათო ხარჯების წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში შეადგენს დაახლოებით 41.4%-ს და ხასიათდება კლებადი ტენდენციით. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ დაბალია თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროდუქტებზე.

სურსათის დეფიციტის შევსება იმპორტული პროდუქციის ხარჯზე ხდება. 2018 წლის მონაცემებით სურსათის იმპორტის მოცულობა 3-ჯერ და მეტად აღემატება სურსათის ექსპორტის მოცულობას. სოფლის მეურნეობის პირველადი და კვების პროდუქტების იმპორტი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად აღემატება ექსპორტის მოცულობას, რაც ძირითადად განპირობებულია ამ პროდუქტების წარმოების დაბალი მოცულობით და შესაბამისი სექტორის სუსტი კონკურენტუნარიანობით უცხოელ მწარმოებლებთან შედარებით. კონკურენტუნარიანობის გაზრდა უნდა მოხდეს არა იმპორტზე ბარიერების დაწესებით, არამედ ადგილობრივი წარმოების პროდუქტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებით. ამ მიზნით შესწავლილია ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ისრაელის მაგალითზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სურსათის ექსპორტის ხვედრითი

**გრაფიკი 1.** აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტი-იმპორტი, 2017-2018 წლებში, მლნ აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წილი ექსპორტის მთლიან მოცულობაში ხასიათდება კლებადი ტენდენციით. 2018 წლის წინასწარი მონაცემებით სურსათის წილი მთლიან ექსპორტში შეადგენს მხოლოდ 9.6%-ს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, 2018 წელს საქართველოდან ექსპორტირებულია 959.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 23.2%-ით მეტია 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (2017 წელს ექსპორტირებული იყო 778.3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია).

საანგარიშო პერიოდში აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში 7.9 მლნ აშშ დოლარით (5.6%) გაიზარდა, რაც ძირითადად განაპირობა სპირტიანი სასმელების ექსპორტის ზრდამ 16.4 მლნ აშშ დოლარით (56.0%). ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა ყურძნის ნატურალური ღვინოების, მინერალური და მტკნარი წყლებისა და მოხალული თხილის ექსპორტი. 2018 წელს, აგროსასურსათო პროდუქციის ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი (243.6 მლნ დოლარი), აზერბაიჯანი (155.3 მლნ დოლარი), ევროკავშირი (148.0 მლნ დოლარი),

2018 წელს ძირითად საექსპორტო პროდუქტებს წარმოადგენდა: ყურძნის ნატურალური ღვინოები (196.9 მლნ აშშ დოლარი), სიგარეტი (148.8 მლნ აშშ დოლარი), სპირტიანი სასმელები (129.1 მლნ აშშ დოლარი), მინერალური და მტკნარი წყლები (110.2 მლნ აშშ დოლარი) და თხილი (69.7 მლნ აშშ დოლარი).

2018 წელს, ღვინის ექსპორტმა 196.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 25.6 მლნ აშშ დოლარით (14.9%) არის გაზრდილი წინა წელთან შედარებით. ძირითად საექსპორტო ბაზრებს წარმოადგენენ: რუსეთი (114.5 მლნ აშშ დოლარი), უკრაინა (21.6 მლნ აშშ დოლარი) და ჩინეთი (19.8 მლნ აშშ დოლარი). აღნიშნულ ქვეყნებში ხორციელდება ღვინის ექსპორტის

79.2%. საანგარიშო პერიოდში ღვინის ექსპორტის ზრდამ რაოდენობრივ გამოსახულებაში, ჯამურად 4.7 მლნ ლიტრი შეადგინა, ხოლო რუსეთში ექსპორტის ზრდამ - 3.1 მლნ (15.9 მლნ აშშ დოლარი, 16.2%) ლიტრი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, 2018 წელს საქართველოში იმპორტირებულია 1,353.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 15.3%-ით მეტია 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (2017 წელს იმპორტირებული იყო 1,173.8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია).

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა სიგარეტის, თხილისა და კაკლის, ხორბლისა და სპირტიანი სასმელებისა (80 მოც. % ან მეტი) იმპორტი, შესაბამისად 84.3 მლნ (82.2%), 16.8 მლნ (137.0%), 16.7 მლნ (17.0%) და 14.4 მლნ (84.4%) აშშ დოლარით.

**საექსპორტო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასება**

მკვლევართა უმეტესობა საექსპორტო პროდუქტების შესარჩევად შემდეგ რვა კრიტერიუმს იყენებს (Chand, 2018).

**1. ტენდენციები ექსპორტში:**

საერთაშორისო ბაზარზე აგროსასურსათო პროდუქტების გასატანად მნიშვნელოვანია პროდუქციის/პროდუქტების ჯგუფების გამოვლენა ექსპორტის ტენდენციების ანალიზით გარკვეული პერიოდის განმავლობაში. მაგალითად, 5 წლიან პერიოდში.

**2. წარმოების მოცულობა და პროდუქტის ხელმისაწვდომობა:**

საექსპორტოდ უნდა შეირჩეს ის პროდუქცია, რომლის-თვისაც არსებობს სათანადო წარმოების მოცულობა ქვეყანა-

ნაში. მყარი მიწოდების ბაზა აუცილებელია იმის უზრუნველ-საყოფად, რომ ექსპორტიორმა შეძლოს საქონლის მიწოდება უცხოელი მყიდველისთვის შეთანხმებულ ვადებში.

**3. პროდუქტის ადაპტირებადობა, შეგუებადობა:**

პროდუქტს შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი პოტენ-ციალი ზოგადად რომელიმე ბაზარზე, მაგრამ იმავე პრო-დუქტს შეთავაზებულს სხვა ბაზარზე – არა. ამის მიზეზი შესაძლებელია იყოს: გარემო პირობები, ფუნქციური მო-თხოვნები, კულტურული ფაქტორები, გემოვნება, ტექნი-კური განვითარების დონე და სხვ. ცვლილების ეს პროცესი ცნობილია, როგორც პროდუქტის ადაპტაცია. ამდენად, პროდუქტის ადაპტაციის უნარი მნიშვნელოვანია საექსპორტო პროდუქტის შერჩევისას.

**4. პოტენციურ საექსპორტო ბაზრებზე არსებული მოთხოვნა:**

საექსპორტო ბაზარზე პროდუქტის მოთხოვნის დონე მნიშვნელოვანია საექსპორტო პროდუქტის შერჩევისას. პრო-დუქტის პოტენციალი ბაზარზე შეიძლება შეფასდეს ისეთი მონაცემების გათვალისწინებით, როგორებიცაა: დემოგრა-ფიული და ფიზიკური გარემო პირობები; პოლიტიკური გარემო; ეკონომიკური გარემო; სოციალური და კულტურული გარემო; ბაზარზე წვდომა; პროდუქტის პოტენციალი.

**5. სავაჭრო შეზღუდვები:**

ქვეყანამ შეიძლება დააწესოს შეზღუდვები სხვა ქვეყნე-ბის პროდუქციის იმპორტზე ლიცენზირების ან სხვა რაოდენ-ობრივი შეზღუდვების სახით. თუმცა, ურუგვაის რაუნდების ფარგლებში, ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ არ დააწესონ იმპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვები. არსებობს WTO-ს წევრ ქვეყნებში ღია და ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის ვალდებულება.

**6. ექსპორტისთვის შეთავაზებული სტიმულები/საშუალებები:**

სავსებით სავარაუდოა, რომ ქვეყანა ექსპორტიორების ხელშეწყობას ახორციელებდეს სხვადასხვა წამახალისებელი პროგრამის თუ სუბსიდირების მეშვეობით.

**7. ცვალებადი ხარჯები:**

პროდუქტის შექმნის ძირითადი კომპონენტია ადამიან-ების გემოვნება და უპირატესობები, ისევე როგორც პრო-დუქტის ფასი სხვა პროდუქტების ფასთან შედარებით. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია სამომხმარებლო შემოსავალი. თუ სამომხმარებლო შემოსავალი იზრდება, პროდუქტის უმრავლესობაზე მოთხოვნაც იზრდება. თუმცა, მოთხოვნა პროდუქტზე რომელიც პირველადი საჭიროებისაა, მაგალითად, საწვავი, თამბაქო, პური ან ხორცი, როგორც წესი კლებადია. ასეთი პროდუქციის ექსპორტიორებს, სავა-რაუდოდ, არ ექნებათ დიდი სარგებელი სხვა ქვეყნებში მომხმარებელთა შემოსავლების ზრდით. ფუფუნების საგნებზე მოთხოვნა, როგორცაა ახალი მანქანები ან ძვირადღირებული საკვები, უფრო სწრაფად ფართოვდება. აქედან გამომდინარე, ექსპორტიორები, ზოგადად, უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ

იმ პროდუქტებს, რომლებსაც მომხმარებლები «ფუფუნების საგნებად» მიიჩნევენ (შემოსავლების ზრდის საპასუხოდ ხარჯების გადანაწილების გამო).

**8. ხარისხი და მარკეტინგული ნიშა:**

ექსპორტ-იმპორტის ვაჭრობის შესახებ რამდენიმე კვლევამ დაადასტურა, რომ კომპანიები, რომლებმაც აჩვენეს განუწყვეტელი ზრდა თავიანთი გაყიდვებსა და მოგე-ბაში, ხშირად აკეთებენ აქცენტს ხარისხზე და კონცენტრირ-დებოდნენ ნიშაზე.

გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, აგროსასურსათო პროდუქტების ბალანსებში არსებული მონაცემების საფუძ-ველზე საექსპორტო აგროსასურსათო პროდუქტების შესა-ფასებლად გამოვყავით შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

- არსებული რესურსები/მარაგები;
- ნათესი ფართობი;
- წარმოების მოცულობა;
- საშუალო მოსავლიანობა;
- თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი.

2018 წლის ბოლოს არსებული მარაგების მიხედვით თუ ვიმჯვლებთ პირველი ხუთეული შემდეგნაირად გამო-იყურება: ყურძენი (238 ათასი ტონა), სიმინდი (137 ათასი ტონა), ხორბალი (76 ათასი ტონა), ბოსტნეული (48 ათასი ტონა), კარტოფილი (34 ათასი ტონა). 2018 წელს ხელთ არსებული რესურსების მიხედვით ლიდერობს ხორბალი – 796 ათასი ტონა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხორბლის ასეთი დიდი რაოდენობა განპირობებულია მისი იმპორტის მოცულობით, ხორბლის რესურსების დაახლოებით 81% იმპორტირებულია საზღვარგარეთიდან, შესაბამისად, მისი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი არის ძალიან დაბალი (15%). ამდენად, ხორბლის ექსპორტზე ფიქრი აქედანვე გამორიცხებულია, შემდეგ ყურძენი – 427 ათასი ტონა (მათ შორის იმპორტირებულია 0,23%), სიმინდი – 402 ათასი ტონა (მათ შორის იმპორტირებულია 20%), კარტოფილი – 286 ათასი ტონა (მათ შორის იმპორტირებულია 8%).

2016 წლის ადგილობრივი წარმოების მონაცემების მიხედვით პროდუქტების პირველი ხუთეული შემდეგნაირია: რძე და რძის პროდუქტები – 555 ათასი ტონა, ყურძენი – 260 ათასი, ტონა, კარტოფილი – 238 ათასი ტონა, სიმინდი – 194 ათასი ტონა, ბოსტნეული – 142 ათასი ტონა.

უნდა აღინიშნოს, რომ დაბალია თვითუზრუნველ-ყოფის მაჩვენებლები სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროდუქტებზე.

2018 წელს თვითუზრუნველყოფის დაბალი კოეფი-ციენტები დაფიქსირებულია ხორბლის (15%), ფრინველის ხორცის (34%), ღორის ხორცის (45%), ხორცის (45%), და სხვათა მოხმარებაში; შედარებით უკეთესი მაჩვენებლებია სიმინდის (71%), რძისა და რძის პროდუქტების (81%), კვერცხის (99%), კარტოფილის (102%), ყურძენის (152%) და სხვათა მოხმარებაში.

2018 წლის მონაცემებით ნათესი ფართობის 26% (54,5

სქემა 1.

2018 წლის ბოლოს არსებული მარაგები	რესურსები	ადგილობრივი წარმოება	თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი	საშუალო მოსავლიანობა
<ul style="list-style-type: none"> <li>• ყურძენი</li> <li>• სიმინდი</li> <li>• ხორბალი</li> <li>• ბოსტნეული</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ხორბალი</li> <li>• ყურძენი</li> <li>• სიმინდი</li> <li>• კარტოფილი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ყურძენი</li> <li>• კარტოფილი</li> <li>• სიმინდი</li> <li>• ბოსტნეული</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ყურძენი</li> <li>• კარტოფილი</li> <li>• სიმინდი</li> <li>• ბოსტნეული</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კარტოფილი</li> <li>• ბოსტნეული</li> <li>• სიმინდი</li> <li>• ხორბალი</li> </ul>

ათასი ჰა) მოდის საშემოდგომო კულტურებზე (ხორბალი, ქერი), დანარჩენი – 152,7 ათასი ჰა (74%) საგამაფხულო კულტურებზე, მათ შორის: მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები (ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია, სიმინდი, პარკოსანი კულტურები და სხვ.) აქედან, შედარებით ყველაზე დიდი ნათესი ფართობი უკავია სიმინდს (78,8 ათასი ჰა), შემდეგ ხორბალს (43,6 ათასი ჰა), ქერს (27,3 ათასი ჰა), კარტოფილს (18,9 ათასი ჰა) და ბოსტნეულს (12,3 ათასი ჰა). საშუალო მოსავლიანობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, დაბალი მონაცემები აქვს ხორბალსა და სიმინდს (შესაბამისად, 2,5–2,7 ტ/ჰა), შედარებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს კარტოფილს (12,5 ტ/ჰა) და ბოსტნეულს (8,8 ტ/ჰა), აქედან პომიდორისა და კიტრის საშუალო მოსავლიანობა არის შესაბამისად 11,0 და 12,4 ტ/ჰა.

ზემოთ წარმოდგენილი მონაცემები დაჯგუფებულია სქემის საშუალებით (იხ. სქემა 1).

საკვლევი აგროსასუსათო პროდუქტები გამოვლინდა შემდეგი პარამეტრების მიხედვით: ტენდენციები ექსპორტში, წლის ბოლოს არსებული მარაგები, რესურსები, ადგილობრივი წარმოება, საშუალო მოსავლიანობა და თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები. ამგვარად, ჩვენ შევაფასეთ სიმინდის ყურძნის/ღვინის, თხილის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხორბლის კონკურენტუნარიანობის დონე. ამასთან, აღნიშნული აგროსასუსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონე ერთმანეთთან შედარდა ორ ბაზარზე: ევროკავშირი და დსთ.

პროდუქტის კონკურენტუნარიანობას მოკლევადიან პერიოდში შევაფასეთ Ex-Post მეთოდით, შემდეგი შემდეგი ინდექსების საფუძველზე (Weindlmaier, 1999):

• ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსი (Relative Export Advantage Index-RXA)

$$RXA_{ij} = (X_{ij} / \sum X_{ij}) / (\sum X_{kj} / \sum \sum X_{ki})$$

თუ მოყვანილი ინდექსის მნიშვნელობა 1-ზე მეტია, მაშინ სექტორი კონკურენტუნარიანია, ხოლო თუ 1-ზე ნაკლებია სექტორი არაკონკურენტუნარიანია.

• იმპორტის შედარებითი შემოდქვადობის ინდექსი (Relative Import Penetration Index-RMP)

$$RMP_{ij} = (M_{ij} / \sum M_{ij}) / (\sum M_{kj} / \sum \sum M_{ki}) \text{ სადა } 1, i \neq k, k \neq i$$

RMP ინდექსის 1-ზე ნაკლები მნიშვნელობა ნიშნავს მაღალ კონკურენტუნარიანობას, ხოლო 1-ზე მეტი ნაკლებ კონკურენტუნარიანობას.

• ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის ინდექსი (Relative Trade Advantage Index-RTA)

$$RTA_{ij} = RXA_{ij} - RMP_{ij}$$

დადებითი RTA ინდექსი მიუთითებს კონკურენტუნარიანობაზე, ხოლო უარყოფითი RTA ინდექსი კი – არაკონკურენტუნარიანობაზე.

აქვე აღვნიშნავ, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გარკვეული ჯგუფისთვის (ღვინო, ალკოჰოლური სასმელები, თხილი, რძე, ხორბალი, ვაშლის წვენი) ამ ინდექსების მნიშვნელობები 1992–2008 წლებისთვის უკვე დათვლილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ქ-ნი ეთერ ხარაიშვილის მიერ<sup>1</sup>.

კვლევის პროცესში, ყურადღება მივაქციეთ იმ მოსაზრებას, რომ გამოყენებული მონაცემები უნდა ყოფილიყო ერთი და იგივე წყაროდან, ამიტომ დავეყრდენით FAO-ს მონაცემებს, საიდანაც ჩვენს გამოთვლებში გამოვიყენეთ ღირებულებათა მაჩვენებლები.

პროდუქტების კონკურენტუნარიანობის ინდექსების დინამიკაში ანალიზმა გვიჩვენა, რომ ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსი (RXA) დსთ ბაზარზე მნიშვნელოვნად იზრდება ღვინოსა და თხილზე. ინდექსი არასტაბილურობით გამოირჩევა კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხორბლის შემთხვევაში. რაც შეეხება ევროკავშირის ბაზარს აქაც მონაცემები მაღალია თხილისა და ღვინის შემთხვევაში. ხოლო დანარჩენი აგროსასუსათო პროდუქცია აღნიშნულ ბაზარზე შედარებით არაკონკურენტულია.

ამდენად, ინდექსების ანალიზმა აჩვენა, რომ შერჩეული აგროსასუსათო პროდუქტებიდან საერთაშორისო ვაჭრობაში კონკურენტუნარიანობის შედარებით მაღალი დონით გამოირჩევა თხილი და ღვინო. ხოლო კონკრეტულად დსთ-ს ქვეყნებისთვის დამატებით კარტოფილი და ბოსტნეული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსის (RXA) დადებითი მნიშვნელობები დაფიქსირდა კვლევისათვის შერჩეულ ყველა პროდუქტზე

<sup>1</sup> ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასუსათო სექტორში, თბილისი, 2011, გვ. 91.

**ცხრილი 1.** ღვინისა და თხილის კონკურენტუნარიანობის ინდექსები (ევროკავშირის ქვეყნები)

ინდექსი წელი	ღვინო			თხილი		
	RXA	RMP	RTA	RXA	RMP	RTA
2002	0.22	0.01	0.21	14.63	0.01	14.62
2003	0.17	0.00	0.17	14.80	0.01	14.79
2004	0.20	0.02	0.18	15.04	0.01	15.03
2005	0.30	0.05	0.25	53.17	0.01	53.16
2006	0.60	0.04	0.56	64.99	0.02	64.96
2007	0.62	0.07	0.54	57.74	0.10	57.65
2008	1.36	0.40	0.96	33.03	7.67	25.36
2009	1.33	0.01	1.32	70.02	0.17	69.86
2010	1.31	0.03	1.28	53.00	0.15	52.85
2011	2.19	0.02	2.16	157.47	0.18	157.29
2012	1.07	0.06	1.01	29.82	0.15	29.67
2013	0.98	0.08	0.90	59.09	0.12	58.97
2014	0.99	0.08	0.91	58.76	0.13	58.64
2015	1.00	0.09	0.92	58.39	0.13	58.26
2016	1.01	0.09	0.92	58.00	0.13	57.87
2017	1.02	0.09	0.93	57.60	0.41	57.19

**ცხრილი 2.** ღვინისა და თხილის კონკურენტუნარიანობის ინდექსები (დსთ ქვეყნები)

ინდექსი წელი	ღვინო			თხილი		
	RXA	RMP	RTA	RXA	RMP	RTA
2002	4.43	0.07	4.37	8.02	0.32	7.70
2003	4.52	0.13	4.39	8.52	0.58	7.93
2004	4.70	0.00	4.70	12.47	0.63	11.84
2005	5.42	0.00	5.42	17.24	0.12	17.12
2006	9.24	1.01	8.22	9.38	0.16	9.22
2007	9.15	0.06	9.09	2.77	0.06	2.71
2008	6.35	1.21	5.14	6.32	0.71	5.61
2009	5.64	0.00	5.63	5.81	0.02	5.79
2010	5.42	0.00	5.42	5.76	0.00	5.76
2011	9.44	0.04	9.39	13.51	0.04	13.48
2012	22.78	0.02	22.76	15.93	0.01	15.92
2013	21.41	0.07	21.34	10.77	0.27	10.50
2014	23.22	0.07	23.15	11.21	0.29	10.92
2015	25.09	0.08	25.02	11.21	0.29	10.93
2016	27.04	0.08	26.96	11.22	0.29	10.93
2017	29.06	0.08	28.98	11.23	0.29	10.94

ორივე ბაზარზე. ცალკეულ შემთხვევაში დსთ-ს ბაზრებზე ქართულ აგროსასურსათო პროდუქტებს გააჩნიათ უფრო მაღალი კონკურენტუნარიანობა, ვიდრე ევროკავშირის ბაზარზე. მონაცემების ანალიზმა, ასევე, გამოავლინა, რომ ქართულ თხილს ბევრად მაღალი კონკურენტუნარიანობა გააჩნია ევროკავშირის ბაზარზე დსთ-თან შედარებით. ხოლო ღვინის შემთხვევაში პირიქით, მას ბევრად მაღალი კონკუ-

რენტუნარიანობა გააჩნია დსთ-ს ბაზარზე, ვიდრე ევროკავშირის საერთო ჯამში არაკონკურენტუნარიანია ხორბალი, სიმინდი (იხ. ცხრილები 1 და 2).

ბოლო წლების მიხედვით ქართული ღვინის ექსპორტის მოცულობა გაზრდილია რუსეთის მიმართულებით, რაც კონკურენტუნარიანობის ინდექსებშიც აისახა. შესაბამისად, ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობა ზრდადია დსთ-ს

ბაზარზე, ხოლო ევროკავშირის ბაზარზე შედარებით სტაბილურობას ინარჩუნებს. ეს განპირობებულია ძირითადად ორი მიზეზით: 1. 2013 წელს იუნესკომ ღვინის ქვევრით დაყენების მეთოდს არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი მიანიჭა; 2. ქართულ ღვინოზე გაუქმდა რუსული ემბარგო.

**კონკურენტუნარიანობის ამადლების ეკონომიკური პოლიტიკა ისრაელში**

ერი ან რეგიონი არის კონკურენტუნარიანი, თუ იქ მოქმედი ფირმები წარმატებით ფუნქციონირებენ ეროვნულ და გლობალურ ეკონომიკაში, ამასთან უმჯობესდება თითოეული მოქალაქის ხელფასი და ცხოვრების საშუალო მაჩვენებელი.

2018 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით ისრაელს, როგორც პირველ წარმომადგენელს ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონიდან, 140 ქვეყნიდან უკავია მე-20 ადგილი (76,6 ქულა), ხოლო საქართველოს 66-ე (60,9 ქულა) (World..., 2018). აღსანიშნავია, რომ ისრაელი მოწინავე ადგილზე იმყოფება სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით. ქვეყანა ძალიან ძლიერი ინოვაციური ეკოსისტემის წყალობით მსოფლიოს ერთ-ერთ ინოვაციურ ცენტრად მოიხსენიება (მსოფლიოში მე-10 საუკეთესო). ამასთან, სხვა ქვეყნებთან შედარებით მეტს ხარჯავს R&D ინდექსის გაუმჯობესებაზე (GDP-ის 4,3%), შესაბამისად ქვეყანაში ყველაზე სწრაფად ინოვაციური კომპანიები იზრდებიან. ქვეყანაში უკიდურესად განათლებული სამუშაო ძალაა (საშუალო სწავლების 13 წელი), სკოლებში ადამიანები იძენენ იმ საჭირო უნარ-ჩვევებს, რომელიც ფართოდ მოთხოვნილია დამსაქმებლების მიერ. ტალანტების ეს რეზერვი კარგად არის ინტეგრირებული შრომის ბაზარზე სამუშაო ძალაზე დაბალი საგადასახადო განაკვეთისა (კომპანიის მოგების 5.9%) და ქალების თანაბარი მონაწილეობის წყალობით. კარგად განვითარებული ფინანსური სექტორისა (22-ე მსოფლიოში) და მსოფლიოს მასშტაბით ხელმისაწვდომობის მიხედვით მეორე ადგილზე მყოფი ვენჩურული კაპიტალის წყალობით ქვეყანა მხარს უჭერს ინოვაციურ კერძო სექტორს. შეიძლება ითქვას, რომ

ისრაელი ეკონომიკის ინოვაციური პოტენციალის გაზრდისა და ზოგადად მისი კონკურენტუნარიანობის ამადლებისთვის იყენებს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის თეორიასა და პრინციპებს.

ისრაელის მთავრობა ყოველწლიურად უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის სექტორს დაახლოებით 350 მლნ აშშ დოლარის სახსრებით. ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო სექტორში კვლევები აღიარებულია ეროვნულ მისიად, შესაბამისად მნიშვნელოვანი ძალისხმევა და თანხები მიმართული მისკენ. მცირე სახნავი მიწა, წყლის რესურსების დეფიციტი, მზარდი მოსახლეობა მოითხოვს ინოვაციურ მიდგომებს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. ამჟამად ისრაელში ფუნქციონირებს არაერთი კვლევითი ინსტიტუტი, რომლებიც მუშაობენ სოფლის მეურნეობის საკითხების ირგვლივ. აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო კვლევების დაახლოებით 75% ჩატარდა სოფლის მეურნეობის კვლევის ორგანიზაციაში (ARO). აღნიშნული გამოკვლევების საფუძველზე შექმნილი ტექნოლოგიების წყალობით გაიზარდა ქვეყანაში პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი (Eurasian..., 2017). ამ წარმატების გასაღები არის მკვლევარებსა და ფერმერებს შორის არსებული ინფორმაციის ორმხრივი ნაკადი. ინფორმაციის/ცოდნის გადაცემის სამსახურების ქსელის მეშვეობით (და ფერმერების აქტიური მონაწილეობით კვლევისა და განვითარების ყველა ეტაპზე) ამ სექტორში არსებული პრობლემები პირდაპირ გადაეცემა მკვლევარს გადასაჭრელად, ხოლო სამეცნიერო შედეგები სწრაფადვე ბრუნდება უკან სავსე საცდელი ადაპტაციისა და განხორციელებისათვის. ამდენად, კონკურენტუნარიანობის ამადლების ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ინოვაციური მეწარმეობის წახალისება და მხარდაჭერა მიიჩნევა.

საქართველოში ბიზნესის მიერ ინოვაციების გამოყენების შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია. 2018 წლის მონაცემებით, ქვეყანას ინოვაციების გლობალურ ინდექსში 100 ქულიდან მინიჭებული აქვს 35,05 ქულა (Cornell..., 2018), რაც აღემატება 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (33,9 ქულა) და 126 ქვეყანას შორის უკავია 59-ე ადგილი.

**დიაგრამა 2.** იერუსალიმის ზრდის დღის წესრიგი (დაფუძნებული კლასტერულ მიდგომაზე: Porter, 2015)



ინოვაციური პროდუქციის გამოშვების კრიტერიუმით საქართველოს 25,65 ქულით 62-ე ადგილი უკავია. ისეთი მაჩვენებლების მიხედვით როგორებიცაა ინფრასტრუქტურა, ადამიანისუფლი კაპიტალი და კვლევები, ბაზრებისა და ბიზნესის განვითარებულობა, ცოდნა და ტექნოლოგიები, საქართველო რეიტინგის მხოლოდ მეორე ნახევარში ხვდება. ამდენად, მართალია, რომ საქართველოს ესაჭიროება კვლევებისა და ინოვაციების წახალისება, განათლებაში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, კერძო სექტორის გააქტიურება ინოვაციების დანერგვასა და შექმნაში, ინოვაციური პროდუქტების შექმნის/წარმოების წახალისება (Kharaisvili, 2018).

### დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველოს აქვს პოტენციალი, გახდეს კონკურენტუნარიანი ღვინისა და თხილის წარმოების მიხედვით ევროკავშირის ბაზარზე. კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოება გამოიწვევს ეროვნული რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მოსახლეობის კვების სტრუქტურისა და ხარისხის გაუმჯობესებას, შიდა და საერთაშორისო ბაზარზე წილების მოპოვებას, საგადასახდელი ბალანსის დეფიციტის შემცირებას, ქვეყნის სასურსათო დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას.

ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის ზრდისა და წარმოების მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა ამ მიმართულებით კვლევების გაძლიერება და საერთაშორისო ვაჭრობაში კონკურენტუნარიანობის ზღვარზე მყოფი აგროსასურსათო პროდუქტების გამოვლენა, რათა მოხდეს მათზე შემდგომი რესურსებისა და ძალისხმევის კონცენტრაცია, რაც მომავალში გაზრდის ექსპორტის მოცულობას. ასევე, მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების ჰარმონიზაცია, რაშიც იგულისხმება DCFTA-ის გეგმით გათვალისწინებულ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოებისთვის სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სფეროებში შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. ეს შემდგომში გამოიწვევს შიდა ბაზარზე ევროპული სტანდარტების დამკვიდრებასა და აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდას, რაც მნიშვნელოვან როლს

შეასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაშიც. მიზანშეწონილია სტაბილური მარეგულირებელი გარემოს შექმნა და ქართული პროდუქტის ცნობადობის გაზრდა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. ვფიქრობ, ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები დაგვეხმარება საიმედო სავაჭრო პარტნიორის, იმიჯის დამკვიდრებაში.

#### ამ ეტაპზე შემუშავებულია შემდეგი რეკომენდაციები:

- ღვინო ერთ-ერთი მთავარი კონკურენტუნარიანი აგროსასურსათო პროდუქტია. დსთ-ს ბაზრებზე ეს უკანასკნელი განსაკუთრებით კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა. თუმცა, გასათვალისწინებელია ზრდადი ევროკავშირის ბაზარიც და სასურველია ამ მიმართულებით რესურსების კონცენტრაცია და ახალი ბაზრების მოძიება, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს ექსპორტის მოცულობა. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას;
- აუცილებელია კონკურენციის და კონკურენტუნარიანობის (პროდუქტის, სექტორის, დარგის) პრობლემების ფუნდამენტური მეცნიერული კვლევების გაფართოება;
- ინდექსებით გათვლილი კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები საკმარისი არ არის კონკურენტუნარიანობის დონის შესაფასებლად. მნიშვნელოვანია არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენების პირობებში აგროსასურსათო პროდუქტების ფარდობითი უპირატესობის შესწავლა;
- საჭიროა საექსპორტო კონკურენტუნარიანი პროდუქტების გამოვლენა და შერჩევა საერთაშორისო გამოცდილების მაგალითებისა და არსებული თეორიული მიდგომების საფუძველზე. ამასთან, მნიშვნელოვანია საექსპორტო ბაზრების საფუძვლიანი შესწავლა;
- კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საერთაშორისო და სამეცნიერო ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა და ფერმერთა დატრენინგება-სწავლება (მათთან კონსულტაციები, ინფორმაციის მიწოდება საერთაშორისო ბაზრებზე არსებული მოთხოვნის თუ აუცილებელი სტანდარტების შესახებ);
- კონკურენტუნარიანობის ამაღლების ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გახდეს ექსპორტის ხელშეწყობი ღონისძიებების გატარება (მაგალითად, აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობით, სწორი მარკეტინგული კამპანიით და სხვ.).



ლიტერატურა/REFERENCES

Chand S. (2018). 8 Factors Influencing the Value of a Country’s Exports and Imports. URL: <http://www.yourarticlelibrary.com/economics/8-factors-influencing-the-value-of-a-countrys-exports-and-imports/32931>

Weindlmaier H. (1999). The competitiveness of the German food industry: methodological starting points for measurement and empirical results. Presentation. Fortieth Annual Meeting of the Society for Economic and Social Sciences in Agriculture e. V. from October 4 to 6, 1999 in Kiel.

World Economic Forum. (2018). The Global Competitiveness Report 2018. URL: <http://www3.weforum.org/docs/GCR2018/05FullReport/TheGlobalCompetitivenessReport2018.pdf>

Porter M.E. (2015). Building a Competitive Jerusalem. Jerusalem Competitiveness Initiative – Growth Agenda Launch Event, Jerusalem, Israel, May 10, 2015. URL: [https://www.hbs.edu/faculty/Publication%20Files/20150510%20-%20Jerusalem%20Competitiveness%20Presentation%20FINAL\\_f71a3579-5bd3-42af-b66b-ef0b8a99a24a.pdf](https://www.hbs.edu/faculty/Publication%20Files/20150510%20-%20Jerusalem%20Competitiveness%20Presentation%20FINAL_f71a3579-5bd3-42af-b66b-ef0b8a99a24a.pdf)

Eurasian Economic Commission (2017). State Support for Agriculture, developed and developing countries. URL: [http://www.eurasiancommission.org/ru/act/prom\\_i\\_agroprom/dep\\_agroprom/sxs/Documents/%D0%93%D0%BE%D1%81%D1%83%D0%B4%D0%B0%D1%80%D1%81%D1%82%D0%B2%D0%B5%D0%BD%D0%BD%D0%B0%D1%8F%20%D0%BF%D0%BE%D0%B4%D0%B4%D0%B5%D1%80%D0%B6%D0%BA%D0%B0%20%D1%81%D0%B5%D0%BB%D1%8C%D1%81%D0%BA%D0%BE%D0%B3%D0%BE%20%D1%85%D0%BE%D0%B7%D1%8F%D0%B9%D1%81%D1%82%D0%B2%D0%B0%20%D0%B2%20%D1%80%D0%B0%D0%B7%D0%B2%D0%B8%D1%82%D1%8B%D1%85%20%D0%B8%20%D1%80%D0%B0%D0%B7%D0%B2%D0%B8%D0%B2%D0%B0%D1%8E%D1%89%D0%B8%D1%85%D1%81%D1%8F%20%D1%81%D1%82%D1%80%D0%B0%D0%BD%D0%B0%D1%85%20\(2017\).pdf](http://www.eurasiancommission.org/ru/act/prom_i_agroprom/dep_agroprom/sxs/Documents/%D0%93%D0%BE%D1%81%D1%83%D0%B4%D0%B0%D1%80%D1%81%D1%82%D0%B2%D0%B5%D0%BD%D0%BD%D0%B0%D1%8F%20%D0%BF%D0%BE%D0%B4%D0%B4%D0%B5%D1%80%D0%B6%D0%BA%D0%B0%20%D1%81%D0%B5%D0%BB%D1%8C%D1%81%D0%BA%D0%BE%D0%B3%D0%BE%20%D1%85%D0%BE%D0%B7%D1%8F%D0%B9%D1%81%D1%82%D0%B2%D0%B0%20%D0%B2%20%D1%80%D0%B0%D0%B7%D0%B2%D0%B8%D1%82%D1%8B%D1%85%20%D0%B8%20%D1%80%D0%B0%D0%B7%D0%B2%D0%B8%D0%B2%D0%B0%D1%8E%D1%89%D0%B8%D1%85%D1%81%D1%8F%20%D1%81%D1%82%D1%80%D0%B0%D0%BD%D0%B0%D1%85%20(2017).pdf)

Cornell University, INSEAD, World Intellectual Property Organization (WIPO). (2018). Global Innovation Index 2018. URL: [https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo\\_pub\\_gii\\_2018.pdf](https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2018.pdf)

Kharashvili E. (2018). Agricultural Development Priorities in Georgia and Israel: Innovative Approaches and Models, Student Scientific-Practical Journal, Student Studies and Projects, # 1-2.

National Statistics Office (2019) URL: <https://www.geostat.ge/ka->